დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N ბრძანებით 04-111 (2018 13.12.2019)

დანართი N1

ცვლილება: N04-04 11.01.2019 დანართი N1

N04-12 14.02.2019 დანართი N2

ცვლილება: N04-74 28.05.2020 დანართი N1

ცვლილება N04-93 23.05.2020

ცვლილება N04-191 06.10.2020

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის

''სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“

ქ. მცხეთა

2019 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში პროგრამის) შემუშავების, განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურებს. დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს დამტკიცების შესახებ“ N121/ნ ბრძანების 41-ე მუხლის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ N733 ბრძანებისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების საფუძველზე.

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (შემდგომში კოლეჯი) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განვითარების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურას.

მუხლი 2. პროგრამის შემუშავების პროცედურა

1. პროგრამის დამატების მიზნით, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი და/ან რეესტრის წარმოების სპეციალისტი იძიებენ შემდეგი სახის ინფორმაციას: კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზს - ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ და/ან სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების მიხედვითა და მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით და/ან შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებსა და დასაქმებულთა კონკრეტულ მოთხოვნებს და ინიცირებით მიმართავენ კოლეჯის დირექტორს პროგრამების დამატების შესახებ, რის შემდგომ კოლეჯის დირექტორი ინიციატივას განიხილავს აღნიშნული სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღეში და თანხმობის შემთხვევაში გამოცემს ინდივიდუალური სამართლებრივ აქტს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ (შემდგომში ჯგუფი). ჯგუფში განისაზღვრება: ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი, ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები;
2. პროგრამების შემუშავების ჯგუფის ხელმძღვანელი არის სასწავლო პროცესის მენეჯერი. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდება პროგრამა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.
3. პროგრამების შემუშავების ჯგუფში შესაძლოა შედიოდნენ:
    - პროგრამის ინიციატორი;
    - კოლეჯის დირექტორი;
    - სასწავლო პროცესის მენეჯერი;
    - პროფესიული განათლების მასწავლებლები/პრაქტიკის ინსტრუქტორი (არსებობის შემთხვევაში);
    - სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი
    - დამსაქმებლები;
    - კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები (პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები);
    - ბიბლიოთეკარი;
    - ბუღალტერი;
    - შესყიდვების სამსახურის თანამშრომელი
    - მატრიალური რესურსის უზრუნველყოფის მენეჯერი
    - კურსდამთავრებულები;
    - პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები;
    - დარგის ექსპერტები;
    - და სხვა.

4. სამუშაოს დაწყებამდე ხარისხის მართვის მენეჯერი ჯგუფს აცნობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
5. დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამის პროექტს თან უნდა ახლდეს:

- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პრაქტიკის გავლის ობიექტთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება;
- ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ.
- ავტორიზაციის მეორე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტები

6. პროგრამის პროექტს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 3. პროგრამის შემუშავების წესი

1. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს სამი ტიპის მოდულებს: ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები და არჩევითი მოდულები.

2. ზოგადი მოდულებისა და სავალდებულო პროფესიული მოდულების შეცვლის უფლება კოლეჯს არ გააჩნია.

3. შემუშავებული მოდულური პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე პროგრამის ზოგადი და პროფესიული მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20%-ისა.

4. კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი მოდულები და შეარჩიოს და განავითაროს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ. ეს შეიძლება იყოს სხვა პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი მოდულები, მათ შორის სხვადასხვა უცხოური ენა. არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა იყოს ბმაში პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული.

5. არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის მიერ არჩევითი მოდული ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ მან განავრცოს სავალდებულო პროფესიული მოდულის ცოდნა და უნარები სპეციალიზებულ კონტექსტში, ანუ შექმნას დამატებითი ვიწრო სპეციალიზაციის შესაძლებლობა ან მოიცვას ისეთი ასპექტები, რომელიც მოცემულ პროფესიულ სფეროს სხვა სფეროს უკავშირებს; უზრუნველყოს დამატებითი ცოდნისა და უნარების შეძენა მომიჯნავე სპეციალიზაციაში ან მოიცვას დამატებითი ტრანსფერული საკვანძო უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია შემდგომი პიროვნული განვითარებისა და დასაქმებისათვის.

6. არჩევით მოდულებად დასაშვებია პროგრამის დონისაგან განსხვავებული დონის მოდულების გამოყენება. მაღალი დონის პროგრამებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაბალი დონის არჩევითი მოდულები, ხოლო დაბალი დონის პროგრამებში - მაღალი დონის მოდულები, თუ დაშვების წინაპირობები (წინმსწრები განათლება ან სხვა მოდული უზრუნველყოფილია).

7. ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. კოლეჯი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა, რომელსაც ასწავლის პროგრამის ფარგლებში და ეს ასახოს უცხოური ენის მოდულში. თუ პროგრამა სპეციალობის სავალდებულო მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ ზოგადი უცხოური ენა იგივე უნდა იყოს.

8. ერთი და იმავე პროფესიულ სპეციალიზაციაზე შემუშავებული პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა, შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიდგომით, რომელთაგან ერთი განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ 50%-ზე მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას. შემუშავებულ პროგრამაში უნდა მიეთითოს პროგრამის განხორციელების მიდგომა/მიდგომები.

9. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს „ქართული ენა A2/B1" მოდულის განხორციელებას კანონმდებლობით დადგენილი წესის, მათ შორის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

10. მოდულურ პროგრამას, დანართის სახით, თან უნდა ახლდეს სასწავლო გეგმა. ორი განსხვავებული მიდგომით განხორციელების შემთხვევაში ორი სასწავლო გეგმა.

11. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ნათელ სურათს პროგრამის თანამიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იყოს მოდულებზე დაშვების წინაპირობები.

12. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც). გამონაკლისს წარმოადგენს წინამდებარე წესის მე-13 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევები. სწავლის დაწყებამდე, დამტკიცებული სასწავლო გეგმის საფუძველზე, შემუშავდება ასევე, დამატებითი სასწავლო გეგმა, სადაც კვირეულ დატვირთვაში არ არის გათვალისწინებული დამოუკიდებელი საათები.

13. როდესაც მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა. ასეთ შემთხვევებში დასაშვებია პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა იყოს 30 საათზე ნაკლები. ასევე, სასწავლო კვირაში, რომელშიც სრულდება მოდულ(ებ)ი, შესაძლოა, პროფესიული სტუდენტის საათობრივი დატვირთვა იყოს 30 საათზე ნაკლები. „ქართული ენა A2“ მოდულის სწავლება შესაძლებელია შესრულდეს 30 საათზე ნაკლები საათობრივი დატვირთვით. ასევე როდესაც პროგრამა ხორციელდება ინტეგრირებული ან დუალური მიდგომით, დასაშვებია კვირეული დატვირთვა იყოს 30 სთ-ზე ნაკლები.

14. პროგრამას, დანართის სახით, თან უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ მათი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მითითებით. დუალური პროგრამის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს ინსტრუქტორის შესახებ ინფორმაციას და წარმოდგნილი უნდა იყოს მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები პსდ-ში.

15. პროგრამაში უნდა აისახოს ინფორმაცია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თაობაზე. ინფორმაცია შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ცალკე, დანართის სახით, მოდულებში ან კომბინირებულად. კოლეჯის მიერ გამოყენებული აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. დუალური მიდგომის შემთხვევაში პრაქტიკის ობიექტთან გამფორმებულ ხელშეკრულებას/მემორანდუმს თან უნდა ახლდეს აღჭურვილობის ჩამონათვალი.

16. პროგრამას თან უნდა ახლდეს პროგრამის ბიუჯეტი.

16. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ პროგრამის მოცულობა შესაძლოა შეიცვალოს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე. ინტეგრირებული პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა იყოს 3 წელზე გათვლილი, რომელსაც თან უნდა გასდევდეს ინტეგრირებული მოდულების სწავლება.

17. პროგრამაში მითითებული უნდა იყოს პროგრამის განხორციელების ადგილი. პროგრამის ხელმძღვანელი პირი

18. პროგრამას თან უნდა დაერთოს საწარმოო პრაქტიკის გავლის ობიექტთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება.

19. დუალური პროგრამების დროს პაკეტს ემატება სწავლის შედეგების განაწილების სქემა, ასევე, დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ამსახველი სასწავლო გეგმა.

მუხლი 4. მოდულის შემუშავების წესი

1. მოდული, როგორც წესი, წარმოადგენს პროგრამის კომპონენტს. შესაბამისად, ის პროგრამის დანართია და მტკიცდება პროგრამასთან ერთად, ერთიანი აქტით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოდული ხორციელდება დამოუკიდებელი კურსის სახით (ასეთ შემთხვევაში ის ცალკე უნდა

დამტკიცდეს) თუ მოდულში შევა ცვლილება, გამოიცემა აქტი, რომ შეიცვალა პროგრამის შესაბამისი დანართი.

2. მოდული შედგება სამი ნაწილისაგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.

3. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად დაუშვებელია.

4. დამხმარე ჩანაწერები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და შესაბამისად დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა, სათანადო დასაბუთებით. კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს სწავლების მიდგომები და მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტები.

5. საათების განაწილების სქემა: საათების განაწილებაში კოლეჯს შეუძლია ასახოს საკუთარი მიდგომები. საათების განაწილების ცვლილებისას დასაშვებია ცვლილება, როგორც პროფესიული სტუდენტის დატვირთვის სახეებს შორის (ჰორიზონტალურად), ასევე სწავლის შედეგებს შორის (ვერტიკალურად), თუმცა, არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს).

6. მოდულის განხორციელების მიდგომები: ფორმულირებები უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ ასახავდეს კოლეჯის მიდგომებს, თუ შემოთავაზებული მიდგომები არ არის გაზიარებული, კოლეჯი თვითონ აყალიბებს საკუთარ მიდგომებს.

7. სასწავლო თემატიკა და სწავლების მეთოდები: კოლეჯი უფლებამოსილია შეცვალოს თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექტში. ასევე შეცვალოს სწავლის მეთოდები საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგის შეფასება შესაძლოა მოხდეს როგორც ცალკ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მათ შორის ერთი ინსტრუმენტით).

8. მოდულის განხორციელების ადგილი: მოდულში მიეთითება მოდულის განხორციელების ადგილ(ებ)ი.

9. ტექნიკურ აღჭურვილობაში მიეთითება კოლეჯის მიერ გამოყენებული აღჭურვილობა. აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

10. მტკიცებულების მოპოვების მიდგომები: ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. თუ მტკიცებულების შეგროვების მიდგომებს კოლეჯი არ ეთანხმება, შესაძლებელია მისი შეცვლა.

11. მოდულის შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები უნდა ცხადყოფდეს თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა. კოლეჯი უფლებამოსილია შეცვალოს შეფასებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტი, რაც შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური უნდა იყოს და სანდო მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდეს.

12. გამოყენებული ლიტერატურა ან/და ინფორმაციის წყაროები: ცენტრის მიერ დამტკიცებულ მოდულში ჩამოთვლილია რეკომენდირებული წყაროები. კოლეჯმა უნდა შეიტანოს მის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ქაღალდზე ან ელექტრონულ მატარებელზე არსებული ლიტერატურა, კონსპექტები, ვებ-გვერდები და სხვა წყაროები, რასაც სასწავლებელი გამოიყენებს და კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის იქნება ხელმისაწვდომი.

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში -სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში -შშმ) პროფესიული სტუდენტებისთვის საჭიროების შემთხვევაში, ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართულობით, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოდულის მოდიფიცირების/აკომოდირების მიზნით.

მუხლი 5. პროგრამაში ცვლილებების შეტანა და განვითარება

1. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას, პროგრამის ხელმძღვანელს.

2. პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოგენილი წერილობითი სახით.

3. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცემა ახალი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. აღნიშნულის შესახებ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად უნდა მოხდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირება.

4. პროგრამის ხელმძღვანელი უნდა ზრუნავდეს პროგრამის განვითარებაზე, მის მონიტორინგზე პროგრამის ადეკვატურ განხოციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამინური რესურსების განვითარებაზე, ასევე ჩართული უნდა იყოს ვერიფიკაციის პროცესში, რითიც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.

5. პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი.

6. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

ა) ინფორმაციის შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა, პროგრამის შეფასება პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა.

ბ) ინფორმაციის დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვის შედეგებისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა -ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირები აანალიზებენ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელ მხარეებს.

დ) რეკომენდაციების მომზადება და ცვლილებები - პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;

ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების დანერგვა აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

7.საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები დარეგულირებულია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში;

მუხლი 6. პროგრამის გაუქმება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების შესახებ;
ბ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე კოლეჯი უზრუნველყოფს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მემორანდუმის წინმსწრებად გაფორმებას და პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების შეთანხმებას და/ან მონათესავე პროგრამაზე გადაყვანას, რის შესახებაც სათანადო ინფორმაციას წარუდგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს უნდა მიეცეთ მიმდინარე საფეხურის დასრულების შესაძლებლობა მილევად რეჟიმში, მიმდინარე საფეხურის დასრულებამდე.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და წერილობით აცნობებს სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვნით.